



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		სამსახიობო ხელოვნება • დრამისა და კინოს სამსახიობო; • დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო.							
განათლების საფეხური		უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი							
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი		სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი BACHELOR OF ACTING							
პროგრამის მოცულობა ECTS		240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის საერთო კურსები – 110 კრედიტი; სპეციალობის ძირითადი კურსები -97; საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები – 13; არჩევითი ბლოკები/კურსები - 20 კრედიტი. სწავლება 8 სემესტრი; 1 სემესტრი 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.							
სწავლების ენა		ქართული							
სწავლის ღირებულება		1500 ლარი							
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა									
პროგრამაზე (კონცენტრაციის მითითებით) ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადაიან მხოლოდ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტური ზემოაღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ტარდება სამსახიობო მონაცემების შემოწმების მიზნით ეროვნულ გამოცდებამდე.									
თითოეული აბიტურიენტი კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით (მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით).									
სამსახიობო მონაცემების შემოწმება - შეფასების კრიტერიუმები									
ლექსი; პროზა; იგავ-არაკი					სცენური მონაცემები			სცენური ეტიუდი	
ბგერების წარმოთქმის სისწორე და მკაფიოობა	ხმის დიაპაზონის სიძლიერე და კეთილხმოვანება	სწორი აქცენტები ზეპირ კითხვაში	დამაჯერებლობა, ემოციური ფონი	სახიერება	რიტმულობა	პლასტიკა	ვოკალური მონაცემები	სხარტი აზროვნება და ქმედებების ლოგიკურობა	იმპროვიზაციის უნარი და შემოქმედებითი ფანტაზია
თითოეული კრიტერიუმი ფასდება 0-10 ქულით									
10-9 ქულა - სრულყოფილია	8-7 ქულა - კარგია	6-5 ქულა - დამაკმაყოფილებელია	4-3 ქულა - შეიმჩნევა ნაკლოვანებები	2-1 ქულა - თითქმის არ პასუხობს მოთხოვნას	0 ქულა - სრულიად არაადამაკმაყოფილებელია				
100 ქულიანი სისტემით შეფასებისას - 40 ქულა ნიშნავს ჩაჭრას									
პროგრამის მიზანი		სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: ქართული ეროვნული სათეატრო სკოლის პრინციპებით მსახიობის აღზრდა. პროგრამის ათვისება საშუალებას მისცემს სტუდენტს ჩასწვდეს მსახიობის პროფესიის მნიშვნელობას, თუ რა ადგილი უჭირავს მსახიობს სანახაობით, კერძოდ კი სასცენო თეატრალურ ხელოვნებაში. პროგრამა ორიენტირებულია პროფესიისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაზე და მომავალ მსახიობს გამოუმუშავებს							

	<p>პროფესიული ჩვევებს და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარს. ხელს შეუწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებას.</p> <p>პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტს სასცენო ხელოვნების ძირითადი ჟანრები, მათი განმასხვავებელი ნიშნები და თავისებურებები, მსახიობის შემოქმედების ძირითადი პრინციპები. სტუდენტს შეასწავლოს სამსახიობო ოსტატობის ძირითადი ელემენტები, განუვითაროს შემოქმედებითი ფანტაზია, მხატვრული წარმოსახვა. მოამზადოს მომავალი მსახიობი მხატვრული სახის შესაქმნელად სცენური გარდასახვისა და მისი (სახის) პრაქტიკული რეალიზაციისათვის.</p> <p>აღზარდოს შემოქმედებითად აქტიური ხელოვანი, რომელიც შეძლებს მუშაობას როგორც ინდივიდუალურად, ასევე შემოქმედებით კოლექტივში (თეატრში, გადასაღებ მოედანზე კინოში და სატელევიზიო დადგმებში).</p> <p>პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც უშუალოდ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საშემსრულებლო ხელოვნების კურსები (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, რიტმიკა, სასცენო მოძრაობა და სხვა), ასევე თეორიული კურსები, რომლებიც მისცემს კურსდამთავარებულს - მომავალ მსახიობს საბაზო ჰუმანიტარულ განათლებას.</p> <p>პროგრამის მიზანია ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება სათეატრო სფეროში. ასევე თანამედროვე თეატრისა და კინოს პროფესიონალი პრაქტიკოსი მსახიობის აღზრდა, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული პროფესიული და ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე.</p> <p>პროგრამის თითოეული კურსი და ყოველი კომპონენტი ემსახურება პროფესიონალი მსახიობის აღზრდას, რაც სრულად შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <p>● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის</p>

	<p>შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. • შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.
პროგრამის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეყერაძე - თეატრმცოდნე, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
სპეციალობის საერთო კურსები			110	14	17	12	12	15	14	11	15
B4Mfg-1		მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი კურსი	5	5							
B4Hfg-2		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (ანტიკური-შუა საუკუნეები)	3	3							
B4Hfg-3		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (რენესანსი - კლასიციზმი)	4		4						
B4Hfg-4		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (აღმოსავლეთის თეატრი)	3			3					
B4Hfg-5		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (განმათლებლობის ეპოქა - თანამედროვე თეატრი)	3							3	
Hfc-7		შესავალი შემოქმედების ფსიქოლოგიაში	4		4						
B4Hfg-6		საზღვარგარეთის ლიტერატურა 1	3		3						
B4Hfg-7		საზღვარგარეთის ლიტერატურა 2	3			3					
B4Hfg-8		ქართული თეატრის ისტორია 1	3				3				
B4Hfg-9		ქართული თეატრის ისტორია 2	3					3			
B4Hfg-10		შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში 2	3					3			
B4Hfg-11		საზღვარგარეთის კინოს ისტორია	3						3		
B4Hfg-12		ქართული კინოს ისტორია	3							3	
B4Hfg-13		შესავალი დრამის თეორიაში	2							2	
B4Mfg-1-1		ვოკალი 1	3				3				
B4Mfg-1-2	B4Mfg-1-1	ვოკალი 2	3					3			
B4g1-1		რიტმიკა 1	3	3							
B4g1-2	B4g1-1	რიტმიკა 2	3		3						
B4g2-1	B4g1-2	სასცენო მოძრაობა 1	3			3					

B4g2-2	B4g2-1	სასცენო მოძრაობა 2	3				3					
B4g2-3		სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი) 1	3				3					
B4g2-4	B4g2-3	სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი) 2	3					3				
B4g2-5	B4g2-4	სასცენო მოძრაობა (ფარიკაობა)	3					3				
B4g3	B4g2-2	პანტომიმა	3								3	
B4g4-1		ცეკვა (კლასიკური) 1	3	3								
B4g4-2	B4g4-1	ცეკვა (კლასიკური) 2	3		3							
B4g4-3	B4g4-2	ცეკვა (სახსიათო) 1	3			3						
B4g4-4	B4g4-2	ცეკვა (სახსიათო) 2	3				3					
B4g4-5	B4g4-2	ცეკვა (სამეჯლისო)	3					3				
B4g4-6		ცეკვა (ქართული)	3							3		
B4g5		გრიმი	2							2		
B4p	B4-1b1-7 B4-2b1-7	პრაქტიკა	5									5
B4g6		საბაკალავრო ნაშრომი (ს)	10									10
სპეციალობის ძირითადი კურსები - დრამისა და კინოს სამსახიობო			97	13	13	13	13	15	16	14		
B4-1b1-1		მსახიობის ოსტატობა 1	9	9								
B4-1b1-2	B4-1b1-1	მსახიობის ოსტატობა 2	9		9							
B4-1b1-3	B4-1b1-2	მსახიობის ოსტატობა 3	9			9						
B4-1b1-4	B4-1b1-3	მსახიობის ოსტატობა 4	9				9					
B4-1b1-5	B4-1b1-4	მსახიობის ოსტატობა 5	9					9				
B4-1b1-6	B4-1b1-5	მსახიობის ოსტატობა 6	9						9			
B4-1b1-7	B4-1b1-6	მსახიობის ოსტატობა 7	10								10	
B4-1b2-1		სასცენო მეტყველება 1	4	4								
B4-1b2-2	B4-1b2-1	სასცენო მეტყველება 2	4		4							
B4-1b2-3	B4-1b2-2	სასცენო მეტყველება 3	4			4						
B4-1b2-4	B4-1b2-3	სასცენო მეტყველება 4	4				4					
B4-1b2-5	B4-1b2-4	სასცენო მეტყველება 5	4					4				
B4-1b2-6	B4-1b2-5	სასცენო მეტყველება 6	4						4			
B4-1b2-7	B4-1b2-6	სასცენო მეტყველება 7	4								4	
B4-1b3		გახმოვანების ოსტატობა	2					2				
B4-1b4		მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა	3							3		
სპეციალობის ძირითადი კურსები - დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო			97	13	13	13	13	15	16	14		
B4-2b1-1		მსახიობის ოსტატობა (თ) 1	9	9								
B4-2b1-2	B4-2b1-1	მსახიობის ოსტატობა (თ) 2	9		9							
B4-2b1-3	B4-2b1-2	მსახიობის ოსტატობა (თ) 3	9			9						
B4-2b1-4	B4-2b1-3	მსახიობის ოსტატობა (თ) 4	9				9					

